დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ფრიდონ გოგიაშვილი -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი
წევრები:
ქეთევან გელაშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;
ლევან მიდოდაშვილი- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: **211349192**
სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქ. თბილისი 2019წ)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 13-14 მარტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მისამართზე: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. N 67; 68;77

ვიზიტის პირველ დღეს 2019 წლის 13 მარტს შედგა გაცნობითი შეხვედრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებელ პირებთან. მოხდა განხორციელების მიზნით წარმოდგენილ პროგრამებთან (მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა " ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება" (30 ადგილი), მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა " ავტომობილის ძრავას შეკეთება"(30 ადგილი), მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა " ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები" (30 ადგილი),მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა " ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება" (30 ადგილი),მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა " სამკერვალო წარმოება(30 ადგილი)) დაკავშირებული დოკუმენტაციის გადამოწმება, პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმების, ხელშეკრულებების გადამოწმება. ამავე დღეს გადამოწმდა პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ყველა სახის მარეგულირებელი დოკუმენტი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები. განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების არსებული პრაქტიკის გადამოწმება.

განხორციელებული ვიზიტის მეორე დღეს, დღის წესრიგის შესაბამისად, პროფესიული პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდა სწავლების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ობიექტების დათვალიერება, მატერიალური ბაზის შემოწმება და გასაუბრება პრაქტიკის განმახორციელებელ პერსონალთან (შერჩევით), განხორციელდა სასწავლო სივრცეების და ტექნიკური აღჭურვილობის გადამოწმება; უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების რეალური მდგომარეობის გადამოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მუშაობა ძირითადად წარიმართა ადგილზე არსებული გარემოებების შესწავლის კუთხით და იმ საკითხების ირგვლივ, რომელთა მიმართ ჯგუფის წევრებს ჰქონდათ გარკვეული კითხვები და მოსაზრებები. ამ მიზნით განხორციელდა გასაუბრება პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პასუხისმგებელ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, მოდულური პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელ კურატორებთან.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და დაიწყეს მუშაობა დასკვნის პროექტზე. შეათანხმეს ძირითადი საკითხები, რომელიც აისახება დასკვნის პროექტში. ვიზიტის დასასრულს, ბოლო ეტაპზე შედგა ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

ჯგუფის შეხვედრა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პასუხისმგებელ პირებთან და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სადაც წარმოდგენილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ ანალოგიური პროფილის უმაღლესი აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი დაასრულა 2019 წლის 14 მარტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი.

ცხრილი რელევანტურია დასამატებლად წარმოდგენილი ყველა (5 პროფესიული პროგრამა) პროგრამისათვის

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	✓	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	✓	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	✓	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	✓	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი 2019წ)

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	✓	
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	✓	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	✓	
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	✓	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	✓	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	✓	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	✓	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	✓	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	✓	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	✓	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	✓	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	✓	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	✓	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	✓	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	✓	
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	✓	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	✓	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	✓	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	✓	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	✓	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	✓	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- სასურველია გაიმიჯნოს აკადემიური და პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და სხვა რეგულაციები, პროფესიული პროგრამების ადმინისტრირების და გამარტივების მიზნით.
- სასურველია ფაკულტეტი აწარმოებდეს პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვას.
- სასურველია დაწესებულებამ პროფესიული პროგრამების დამატების შემთხვევაში, დამატებით მოიძიოს პარტნიორი სასწავლო დაწესებულებები, სადაც იქნება შესაბამისი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
- სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული პროგრამის პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გამიჯნოს აკადემიური პროგრამების შესაბამისი რეგულაციებისგან.
- სასურველია, რომ ვებ გვერდის განახლების დროს ანონსის სახით მითითებული იყოს ინფორმაცია დასამატებელი პროფესიული პროგრამების შესახებ და მიეთითოს რომელი წლის კატალოგია.სასურველია კატალოგში მითითებული იყოს ინფორმაცია სად ხორციელდება კონკრეტული პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

VII. დაწესებულების მისია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 9 მარტს N01-05-04/69 დადგენილებით დამტკიცებულია მისია. მნიშვნელოვანია რომ მისიაში ასახული არის უნივერსიტეტის დამოკიდებულება პროფესიული განათლების განვითარების მიმართ.
უნივერსიტეტი მისიის შესაბამისად მიზნად ისახავს

- პროფესიული განათლების მიმართულებით აღზარდოს მაღალკვალიფიციური, საზოგადოების საჭიროებაზე ორიენტირებული კადრები.
- პროფესიული და აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და იმავდროულად შეინარჩუნოს აკადემიური ღირებულებები.
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მოქნილი სისტემის დანერგვას და განვითარებას.
- უნივერსიტეტის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილების და კოლეგიური მართვის სიტემის ოპტიმიზაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(ქ. თბილისი 2019წ)

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმამათლებლო პროგრამების დამატების მიზნით (მე-3 დონის ხუთი პროგრამა), განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა განაცხადი N 92568 30.01.2019 (ხარვეზის გასწორების შემდეგ N 185572 18.02.2019 , მე-2 ხარვეზის გასწორების შემდეგ N 226102 25.02.2019). პროგრამები შედგენილია დამტკიცებული ჩარჩო დოკუმეტის საფუძველზე. პროგრამების განხორციელება დაგეგმილია ერთ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მისამართზე (სრული ინფორმაცია მოცემულია დასკვნის ბოლოს ცხრილში).

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, (აკადემიური საბჭოს დადგენილება N 01-05-04/354 21.12.2018წ, ცვლილება- აკადემიური საბჭოს დადგენილება N01-05-04/32 13.02.2019წ) რომელიც ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს (სსიპ-სტუ-ს წესდება მუხლი 8 პუნქტი1ბ)

დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროგრამებიდან ორი პროგრამა „ავტომობილის ძრავის შეკეთება“ და “ავტომობილის ელექტრული სისტემების შეკეთება“განხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი, სტუ-ს პირველი კორპუსი 696 აუდიტ. პრაქტიკის ადგილი კოსტავას ქ N69ა. პროგრამა „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“ განხორციელდება მისამართზე ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68,საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება საწარმოში ი/მ „ირაკლი გვილავა“ ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის N121; პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ ქ. თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

კოსტავას ქ. N68 და საწარმოო პრაქტიკა განხორციელდა შ.პ.ს. „უნისტილი“ ქ. თბილისი გურამიშვილის გამზ.N 15; პროგრამა „ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები“ განხორციელება იგეგმება მისამართზე ქ. თბილისი მ.კოსტავას ქ.N 68 სტუ-ს პირველი კორპუსი 704 აუდიტ. ; საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება ქ. თბილისი თევდორე მღვდლის ქ.N 26 შ.პ.ს „სეზანი“ და ქ.თბილისი ერისთავის 1, შ.პ.ს. „ახალი საქართველო.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული დოკუმენტაციით მიწოდებული ჰქონდა წინასწარ და ვიზიტის განმავლობაში ხდებოდა გარკვეული საკითხების დაზუსტება ინერვიურების და საწავლო გარემოს შერჩევითი გადამოწმების დროს.

მოდულურ პროფესიულ პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლების შედეგები, სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკის კომპონენტების განხორციელების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ მიზნით სტუ-ში აკადემიური საბჭოსN01-05-04/01 14.02.2018 წლის დადგენილების დანართი N1 – „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშვების, შეფასების და განვითარების წესით“ განსაზღვრულია, რომ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის საფუძველი შეიძლება გახდეს: ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნების წარმოქმნა /გაზრდა და ა.შ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით სტუ-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან: ი/მ „[redacted]“ შ.პ.ს. „უნისტილი,“ შ.პ.ს. „სეზანი,“ შ.პ.ს. „ახალი საქართველო,“ „სასოფლო სამეურნეო და საამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა დანადგარების სწავლების, ექსპერტიზის და აუდიტის ცენტრი.“ აღნიშნულ ხელშეკრულებებში და მემორანდუმებში მითითებული არის როგორც პროგრამების პრაქტიკული ნაწილის განხორციელების, ასევე პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე მიღების ვალდებულება. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ სასწავლო დაწესებულებებთან საჭიროების შემთხვევაში სტუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევითად გადაამოწმა რამდენიმე პრაქტიკის ობიექტი, სადაც გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები .

მოდულური პროფესიული პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი საწარმოების დათვალიერება მოხდა შერჩევით.(თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩეული იქნა ერთი საწარმო) კერძოდ: საწარმო ი/მ „[redacted]“ (ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის N121), შ.პ.ს „სეზანი“ (ქ. თბილისი თევდორე მღვდლის ქ.N 26), სასოფლო სამეურნეო და სამშენებლო მანქანების, მანქანათა დანადგარების სწავლების, ექსპერტიზის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

აუდიტის ცენტრი (ქ. თბილისი, კოსტავას ქ.N69ა), შ.პ.ს. „უნისტილი“ (ქ. თბილისი გურამიშვილის გამზ.N 15)

საწარმოთა დისლოკაციის ადგილზე არის შესაძლებლობა იმისა, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა ნახონ საწრმო პროცესი და უშუალოდ შეასრულონ პრაქტიკული სამუშაო. ხშირ შემთხვევაში სასწავლო C გარემოსთვის საჭირო ზოგიერთი მოწყობილობა დანადგარი განთავსებული არის სწორედ საწარმოს განლაგების ადგილზე (მაგ : სამკერვალო წარმოება, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება) საწარმოთა სივრცეებში დაცული არის შრომის უსაფრთხოების პირობები. პროფესიულ სტუდენტებს საწარმოში შესვლის წინ ინსტრუქტაჟებს ჩაუტარებენ შესაბამისი უფლებამოსილი პირები. საწარმოებს აქვთ საშუალება ერთჯერადად მიიღონ სტუდენტების ის რაოდენობა, რაც მოთხოვნილი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას.(ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი). თუმცა ისინი გადანაწილდებიან საწარმოში თემატიკის მიხედვით სხვადასხვა ოპერაციების შესასრულებლად.

საწარმოთა ადმინისტრაციასთან, უნივერსიტეტიდან მოდულური პროგრამის განმახორციელებელ შესაბამის პერსონალთან და საწარმოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაძე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი კარგად ერკვევიან მოდულური პროგრამების სტრუქტურაში და პროგრამის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სამუშაოების შინაარსში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით
- ✓ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით/ხელშეკრულებებით.
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით 01-05-04/354 21.12.2018წ.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამების აღწერილობა(კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია არსებული პროფესიული პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლების შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. ასევე ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.
კატალოგში ხდება განხორციელებული ცვლილებების ასახვა. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია სტუ-ს ვებ გვერდზე. სასურველია კატალოგში მითითებული იყოს ინფორმაცია სად ხორციელდება კონკრეტული პროგრამები (სტუ-ს კუთვნილ სასწავლო სივრცეში, თუ მის გარეშე)
ვებ გვერდზე ატვირთულ კატალოგში ანონსის სახით არ არის ინფორმაცია დასამატებელი პროგრამების შესახებ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სტუ-ს ვებ გვერდზე განთავსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით http:/gtu.ge/pdf/profesiulis katalogi _2.pdf

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(ქ. თბილისი 2019წ)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გზით დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო მოდულებს და სასწავლო გეგმას. საგანმანათლებლო პროგრამებიმოდულებით განსაზღვრული პირობების დაცვით და პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც შეესაბამება კონკრეტული პროფესიული პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს. ექსპერტთა მიერ ადგილზე შერჩევით გადამოწმდა სამკერვალო წარმოების და ძრავას შეკეთების პროფესიული პროგრამების რამდენიმე მოდული (ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება, ძრავის მექანიზმების სერვისი). შეფასდა წარმოდგენილი დოკუმენტები რიგ შემთხვევაში საჭიროა მოდულების ადაპტირების ხარისხის გაზრდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

- ✓ პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ✓ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელებთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში მოქმედებს სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირების და მობილობის ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აკადემიური და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი 1.4) შესახებ. არსებობს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 06 ივლისის № 738 დამტკიცებული დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგაანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, შიდა და გარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(ქ. თბილისი 2019წ)

მობილობის ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები და ხელშეკრულების გაფორმების პირობები.
ვიზიტის დროს გამოვლინდა შემდეგი გარემოება:
საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152 /ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების 29-ე მუხლის
მე 2 პუნქტის თანახმად „დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/ შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში, დაწესებულებაში არის მზაობა აღნიშნული პროდეცურის შესასრულებლად. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით ირკვევა, რომ პროფესიულ სტუდენტთან ფორმდება ორგვარი ხელშეკრულება „სასწავლო „ და „ფინანსური“ . სასწავლო ხელშეკრულება დგება პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანსა და პროფესიულ სტუდენტს შორის და მოიცავს ინფორმაციას შესასწავლი მოდულების და შესაბამისი კრედიტების შესახებ. ფინანსური ხელშეკრულება ფორმდება რექტორსა და პროფესულ სტუდენტს შორის (არასრულწლოვანის შემთხვევაში მის კანონიერ წარმოამდგენელს შორის) ფაკულტეტზე ხელშეკრულებების აღრიცხვა არ ხდება. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით სტუს მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების ვადები (დან.4), რომელიც ცილდება მიმდინარე ვიზიტის თარიღს (რეკომენდაციების შესრულების გეგმა წარმოგვიდგინა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსახურმა)
სასურველია ფაკულტეტი აწარმოებდეს პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვას.
სასურველია გაიმიჯნოს აკადემიური და პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და სხვა რეგულაციები, პროფესიული პროგრამების ადმინისტრირების და სასწავლო პროცესის გამარტივების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სტუს-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 06 ივლისის №738 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველლოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“.
- ✓ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სტუდენტტა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სტუ-ს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“ , სადაც გაწერილი არის პროცედურები, მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად, თუმცა კონკრეტული ჩანაწერი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ არ იძებნება. სტუ-ში არის მზაობა იმისა, რომ პროფესიულ სტუდენტებს ხელი შეუწყონ ანალოგიურ პროგრამაზე მობილობაში ან სტუდენტს მეცემა საშუალება შეუფერხებლად დაასრულოს პროგრამა. ამ მიზნით სტუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები პარტნიორ სასწავლო დაწესებულებებთან (შპს „თეგეტა აკადემია “, „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“)
სასურველია დაწესებულებამ პროფესიული პროგრამების დამატების შემთხვევაში, დამატებით მოიძიოს პარტნიორი სასწავლო დაწესებულებები, სადაც იქნება შესაბამისი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
სასურველია მარეგულირებელ დოკუმენტებში პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული პროგრამის სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გამიჯნოს აკადემიური პროგრამების შესაბამისი რეგულაციებისგან.
ანალოგიური რეკომენდაციები გაცემული იყო აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის დროს და არსებობს რეკომენდაციების შესრულების გეგმა (დან N4)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვიტარების წესი დამტკიცებული სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

- ✓ სტუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში შესული ცვლილება (პროფესიული პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ) აკად. საბჭოს დადგენილება № 2153; 7.10.2016

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ-ში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“, რომლითაც ასევე განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს სტანდარტების და ქმედებების ჩამონათვალს, რაც საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაფასებლად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტშიც არ ხდება აკადემიური და პროფესიული პროგრამების გამიჯვნა, რაც პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე ართულებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რეალურად შეფასებას. სტუ-ში შექმნილია პროფესიული პროგრამების განხორციელების პროცესის შიდა მონიტორინგის კომისია,რომელიც მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის კუთხით. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სწავლების დეპარტამენტის თანამშრომლები და პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელები. კომისიის წევრების მოვალეობაში შედის მონიტორინგის გეგმის შედგენა, მონიტორინგის ჩატარება, საჭირო ინფორმაციის შეგროვება, პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის შემოწმება და პროგრამის დანერგვის მიმდინარეობის და მონიტორინგის განხორციელების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

პროგრამების შექმნის პროცესში ჩართული იყო დარგობრივი ორგანიზაციები, რაც დასტურდება პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი საწრმოების პერსონალთან გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სტუ-ს დებულება. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N335 ბრძანება.
- ✓ „მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ სტუ-ს რექტორის 2016 წლის 7 დეკემბრის N237 ბრძანება.
- ✓ შეფასების კითხვარები - მოდულური და საგნობრივი პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის.
- ✓ სტუ-ს ვებ გვერდი www.gtu.ge (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური)
- ✓ სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილს N 01-05-04/108 დადგენილება

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი 2019წ)

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციებული ვიზიტის ფარგლებში დასამატებელი პროფესიული პროგრამების განხხორციელება მოხდება სტუ-ს პირველ კორპუსში და სატრანსპორტო და მანქნათმშენებლობის ფაკულტეტის დისლოკაციის ადგილზე. სასწავლო A და B გარემო აღჭურვილია სესაბამისი ინვენტარით(მერხები, მაგიდები, დაფები, ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკა.) არსებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება დასამატებელი პროფესიული პროგრამების მოთხოვნებს და დაგეგმილი მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას. მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც საჭირო არის კონკრეტული პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად, თან ერთვოდა წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამებს.
პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით დაწესებულებაში არსებობს ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი შესაბამისი ფართები, მატერიალური რესურსის ნაწილი ასევე განთვსებულია პრაქტიკული სწავლების ობიექტებზე, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას.
სტუ-ს სტრატეგიული განვითარების პროექტში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი არის სასწავლო ლაბორატორიების მატერიალური რესურსის განახლება და სრულყოფა.
პროგრამების განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანთან და მენეჯერთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უწყვეტად მიმდინარეობს მატერიალური რესურსის შესყიდვა და პროგრამებისავტორიზაციის გზით დამატების შემთხვევში საჭირო მასალებით და მოწყობილობებით უზრუნველყოფა მოხდება სამოქმედო გეგმში გაწერილ ვადებში.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68 I კორპუსი	30 383კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების თანდართული ინფორმაცია უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტაციას, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
წარმოდგენილი პროგრამებისათვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართით განთავსებულია სტუ-ს I კორპუსში (კოსტავას №68)

ფეხცსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	კოსტავას ქ №68 აუდ.703,704 და საწარმო ი/მ „[redacted] (ქ.თბილისი წინამძღვრიშვილის ქ №121)) სტუდენტების რაოდენობა 30
სამკერვალო წარმოება.	კოსტავას ქ №68 და შპს „უნისტილი“ (გურამიშვილის ქ №15) სტუდენტების ადგილების რაოდენობა 30
ავტომობილის ელექტრული სისტემების შეკეთება, ავტომობილის ძრავის შეკეთება.	კოსტავას ქ №68 (აუდ: 696) და ავტოსერვისი კოსტავას ქ 69ა სტუდენტების ადგილების რაოდენობა თითოეულ პროგრამაზე 30
ბეჭვდითი მედიატექნოლოგიები	კოსტავას ქ №68 (აუდ 704) და თევდიორე მღვდლის 26-ში შპს „სეზანი“, ერისთავის ქ №1-ში; შპს “საქართველო“ სტუდენტების ადგილების რაოდენობა 30

ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:
პროგრამების განხორციელებისათვის ძირითადად A,B,C გარემო განთავსებულია პროგრამების განხორციელების ძირითად მისამართზე (ქ.თბილისი კოსტავას ქ. №68) პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო B გარემოს გამოყენების შემთხვევაში ხელი არ შეეშლება აკადემიური პროგრამების განხორციელებას. C გარემოსათვის საჭირო ძირითადი რესურსი ასევე განლაგებულია ზემოთ მითითებულ მისამართზე, თუმცა ნაწილი მოწყობილობებისა სამკერვალო წარმოების, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობების წარმოების, ბეჭვდითი მედიატექნოლოგიების და ავტომობილის ელექტრული სისტემების შეკეთებისათვის განლაგებული არის პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

კომპონენტის განხორციელების მისამართებზე. საწარმოებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. ხშირ შემთხვევაში ეს ხელშეკრულებები,თითოეული პროგრამისათვის არის მხოლოდ ერთი (გამონაკლისი არის ბეჭდვითი მედიატექნოლოგიების პროგრამა) ექსპერტთა აზრით სასურველია, რომ თითოეულ პროგრამაზე იყოს რამდენიმე საწარმო, რომლებთანაც მოხდებოდა შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
✓ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ფართის და ინვენტარის შესახებ ინფორმაცია.
✓ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუს I კორპუსში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გააჩნია საჭირო გარემო. არსებობს ელ. ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილია ყველა სივრცე, სადაც პროფესიულ სტუდენტებს მოუწევთ მუშაობა. შენობა-ნაგებობა, სადაც განხორციელდება პროფესიული პროგრამები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მიწოდება. არსებობს სანიტარული კვანძები ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ ვიზუალური დათვალიერებით;

✓ ელექტროენერგიისა და წყლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების და პროფესორ მასწავლებელთა მომსახურეობას, როგორც წიგნადი ფონდით ასევე სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებით ანხორციელებს სტუს-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა, თუმცა პროგრამების განხორციელების შემთხვევაში სტუდენტებისათვის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე არსებული ბიბლიოთეკაც იქნება გამოყენებული. ცენტრალური ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ფაკულტეტების ბიბლიოთეკების დაკომპლექტებას სათანადო ლიტერატურით.

სტუს-ს ბიბლიოთეკაში არის სივრცე ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით. ვებ გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელ. კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. ცენტრალურ ბიბლიოტეკაში შერჩევით გადამოწმდა განსახილველი პროგრამების მოდულებში არსებული ლიტერატურა. მოდულებში მითითებული ლიტერატურა იძებნება ბიბლიოთეკაში. არსებული წიგნები დამუშავებული არის საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ ვებ გვრდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი;

✓ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი;

✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;

✓ წიგნადი ფონდის შერჩევითი გადამოწმება;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოყენებული არის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. კომპიუტერები გამოყოფილი არის როგორც ადმინისტრაციისათვის, ასევე მასწავლებლებისა და პროფესიულის სტუდენტებისათვის. სასწავლო B გარემოსი განთავსებული არის ასევე სასწავლო მასალების სადემონსტრაციო საშუალებები. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში ჰქონდეთ წვდომა სასწავლო მასალების ელექტრონულ ვერსიებთან. პროფესიული მასწავლებლები ასევე უზრუნველყოფილი იქნებიან საინფორმციო საკომუნიკაციო საშუალებებთან წვდომით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ ვიზუალური დათვალიერებით (ფაქტობრივი მდგომარეობით);

✓ შესყიდვების დოკუმენტაციით;

✓ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ადმინისტრაციის, წარმომადგენლების ინტერვუირებით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს „საქმის წარმოების ერთიანი წესი“ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების (ბრძანება, დადგენილებები,წესები,ინსტრუქციები და სხვა) გაფორმებისათვის საჭირო რეკვიზიტები.

უნივერსიტეტში მიმდინარეობს სასწავლო-მეთოდური დოკუმებტების, ბრძანებების, ხელშეკრულებების, დადგენილებების და სხვა სამართლებრივი აქტების აღრიცხვიანობა. წარმოებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქ. თბილისი 2019წ)

გასული და შემოსული კორესპოდენტების აღრიცხვა. დაწესებულების აქტები და წერილები ფორმდება ბლანკზე, სადაც მითითებულია დაწესებულების დასახელება, მისამართი საკონტაქტო ინფორმაცია. უზრუნველყოფილი არის დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების სანდოობა და მთლიანობა. რადგან დასამატებელი პროგრამები ხორციელდება კონკრეტულად ერთ ფაკულტეტზე სასურველია რომ ხელშეკრულებების აღრიცხვა ხორციელდებოდეს შესაბამის ფაკულტეტზეც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ საქმის წარმოების ერთიანი წესით;

✓ ბრძანების წიგნი, გამოცემული აქტები;

✓ ფაქტობრივი მდგომარეობით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას, ყველა სართულზე დამონტაჟებულია ახალი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომელიც ვარგისია გამოყენებისათვის. შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელები და გამომკრული არის ევაკუაციის გეგმა. სტუს-ს აქვს „დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება“ შენობის მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური. დაცვის ღონისძიებების განხორციელებას აწარმოებს დაცვის სამსახური, რომლებიც დროულად რეაგირებენ დარღვევებზე. სტუ-ს I კორპუსში უზრუნველყოფილია სტუდენტების სწავლის და პერსონალის საქმინობის უსაფრთხო გარემო. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის კორპუსში არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი არის საჭირო ინვენტარით და პირველადი საჭიროების მედიკამენტებით. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს პოლიკლინიკა, რომელიც განთავსებულია მე -10 კორპუსში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
✓ დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების დებულება. წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება 01-06-02/06; 14.02.2018
✓ ფაქტობრივი მდგომარეობა;
✓ ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო დახმარების აღმოცენის და წესრიგის დაცვის მექანიზმები;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუ უზრუნველყოფს წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიადუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. უნივერსიტეტის I კორპუს მინიჭებული აქვს ისტორიული ძეგლის სტატუსი ამოტომ გაძნელებულია მისი ადამტირება შშმ და სსსმ პირებისათვის. შესაბამისად ჭირს მათი თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა. ამიტომ ასეთი საჭიროებისათვის მოძებნილი არის ალტერნატიული გზები. მაგალითად როგორიც არის მათივე მეცნიერთა ჯგუფის მიერ შექმნილი ე.წ „კიბემავალი“, რომელზედაც მაგრდება სავარძლება მოძრაობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის (ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მისი დაზიანებული დეტალების გამოცვლა) ასევე დაცვის თანამშრომლებს (დაცვის დებულების თანახმად) აქვთ ვალდებულება საჭიროების შემთხვევაში დაეხმარონ გადაადგილებაში შშმ პირებს.

უნივერსიტეტში არსებობს მზაობა იმისათვის, რომ სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იყოს განსხვავებული მოთხოვნები და საჭიროებები სსსმ პირებისათვის. ამ მიზნის შესრულებას ემსახურება კონკურსის გზით შერჩეული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი, რომლებიც მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ , ასეთი საჭიროების მქონე სტუდენტებსა და მასაწავლებლებს. ამ პირებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ აეტაპზე მათ სხვა პროფესიულ პროგრამებზე ჰყავთ უკვე სსსმ საჭიროების სტუდენტი და მისთვის შემუშავებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ასევე ინტერვიურებამ გვიჩვენა, რომ ამ მიმართულებით სპეციალისტებს სრული მხარდაჭერა აქვთ ადმინისტრაციისაგან და სხვა დამხმარე პერსონალისაგან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
✓ სტუს-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
✓ სტუს სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია ფაქტობრივი მდგომარეობით;
✓ ინტერვიურებით;
✓ ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული და ინგლისურენოვანი ვებ გვერდი www.gtu.ge ასრულებს საინფორმაციო საკომუნიკაციო ფუნქციებს. მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და მოიცავს მრავალმხრივ ინფორმაციას უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ. ვებ-გვერზე განთავსებულია ასევე ინფორმაცია სტრუქტურის, პერსონალის, ფაკულტეტების, აქტივობების, ღონისძიებების, ბიბლიოთეკის, საზოგადოებრივი, სპორტული მოვლენების შესახებ. მნიშვნელოვანია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. განთავსებულია პროფესიული პროგრამების კატალოგი, ასევე ცალკეულ ფაკულტეტებზე განთავსებულია მათ ბაზაზე განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ ავორიზაციის გზით დასამატებელი პროგრამები შესახებ ინფორმაცია არ იძებნებოდა ანონსის სახით და ვერ დგინდებოდა რომელი წლის იყო ვებ გვერდზე ატვირთული კატალოგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(ქ. თბილისი 2019წ)

-სასურველია, რომ ვებ გვერდის განახლების დროს ანონსის სახით მითითებული იყოს ინფორმაცია დასამატებელი პროფესიული პროგრამების შესახებ.

-მითითებული იყოს კატალოგის განახლების წელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ სტუ-ს ვებ გვერდი www.gtu.ge;
✓ საკონტაქტო ინფორმაცია htt//gtu.ge/contact;
✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
✓ ვებ გვერდზე განთავსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
✓ სტუ-ს ბიბლიოთეკა htt://gtu.edu.ge/library;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სტუს შემუშავებული და აკადემიურ საბჭოს დამტკიცებული აქვს განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული (2018-2024წ) და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიზნები შესაბამისობაშია და თავსებადია მისიასთან.
სამოქმედო გეგმა ემსახურება სტუს მიზნების მიღწევას. კერძოდ: „პროფესიული განათლების მიმართულებით აღზარდოს მაღალკვალიფიციური, საზოგადოებრივ საჭიროებაზე ორიენტირებული კადრები, უზრუნველყოს პროფესიული და აკადემიური განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.
სამოქმედო გეგმის მიზანი 5.2 - პროფესიული პროგრამების დაგეგმვა რაც ითვალისწინებს პროფესიულ კადრებზე ბაზრის მოთხოვნის შესწავლას და შესაბამისი ანალიზის გაკეთებას. ამ ანალიზის საფუძველზე პროფესიული პროგრამის შედგენას პროფესიული სწავლების სტუდენტებისათვის სასწავლო ლაბორატორიების და სახელოსნოების მოწყობას.
საწარმოებში უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით პერსონალის გადამზადებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(ქ. თბილისი 2019წ)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ რაც ასევე ითვალისწინებს პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებას, ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციებს შესრულების მიზნით სტუ-ს დამუშავებული აქვს ღონიძიებების ნუსხა და მასზე დაყრდნობით შექმნილი აქვს ახალი სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის პროექტი,რომელიც დამტკიცდება უახლოეს დღეებში რადგან მასში გაწერილი რეკომენდაციების შესრულების ვადად უახლოეს პერიოდში 2019 წლის 25 აპრილი არის მითითებული. აღნიშნულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში მითითებულია კონკრეტული ვადები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კუთხით მარეგულირებელი წესების, რეგულაციების დამტკიცების და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.
ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიურებით დადგინდება, რომ მიღებული რეკომენდაციების შესრულება განხორციელდება გეგმის მიხედვით და მითითებულ ვადებში დასრულდება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
✓ სტუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024წ. 2018 წ. 9 მარტი №01.-05-04/69
✓ სტუ-ს სტრატეგიული გეგმის პროექტი;
✓ სტუ-ს სამოქმედო გეგმის პროექტი;
✓ ინტერვიურებით;

შეფასება:
☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუს-ს შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომელიც მოიცავს თანამდებობრივ ინსტრუქციებს. ინტერვიურებით დგინდება, რომ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. (სტუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, მოდულური პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელები, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სტუ-ს და ფაკულტეტის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი და ა.შ)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის დადგენილება № 1937 „ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი“ , რომელიც საერთოა სწავლების ყველა საფეხურის პედაგოგისათვის არ მოიცავ ცნებას პროფესიული განათლების მასწავლებლის შესახებ, შესაბამისად არც კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები არის ცალკე გაწერილი.

სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფორმალური წესი, რის შესაბამისადაც მოხდება მათი სამსახურში აყვანა, თუმცა წარმოდგენილ პროგრამაში წარმოდგენილი მათი დკუმენტაციით და მათთან გასაუბრებით ირკვევა, რომ წარმოდგენილი პერსონალი შეესაბამება :პროფესიული განათლების კანონით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
✓ სტრუქტურული ერთეულების დებულებებით/თანამდებობრივი ინსტრუქციებით;
✓ პერსონალის პირადი საქმეებით;
✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
✓ მოწვეული პერსონალის და მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელება იგეგმება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუ-ს ჰყავს 20 პროფესიულ დონეზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ზემოთ აღნიშნულ პროგრამებზე წინარე ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს : ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება-14 პერსონა, სამკერვალო წარმოება -13 პერსონა, ავტომობილების ელექტრული სისტემის შეკეთების და ძრავას შეკეთების პროგრამებზე -18 პერსონა, ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები -12 პერსონა. უნდა აღინიშნოს რომ ყველა პროგრამისათვის ზოგადი მოდულების განხორციელება ძირითადად იგეგმება ერთი და იგივე პერსონალის მიერ.

განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში მოხდა ინტერვიურება პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან. დასტურდება,რომ წარმოდგენილი პერსონალი თავისი კვალიფიკაციით შეესაბამება განსახორციელებელ კონკრეტულ პროგრამას. პერსონალთან და ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს ასევე დადასტურდა, რომ წარმოდგენილი პეროსნალის აკადემიურ პროგრამებზე საქმიანობა ხელს არ შეუშლის პროფესიული პროგრამების ხარისხიანად განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
- ✓ მოწვეული პერსონალის და მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით -დიპლომით და CV-ებით

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველიოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის დადგენილებით(N1937) მიღებულია „ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის მიღების წესი“, რომელიც საერთოა სწავლების ყველა საფეხურის პედაგოგისათვის და არ მოიცავს ცნებას პროფესიული განათლების მასწავლებლის შესახებ. ამ წესის მე-4 პუნქტის მიხედვით იკვეთება, რომ ზოგადად მასწავლებელთან ფორმდება ხეშეკრულება.

წარმოდგენილ პროგრამებში (თითოეულში ცალ ცალკე) პერსონალის დოკუმენტაციის ნაწილში წარმოდგენილი არის ე.წ. წინარე ხელშეკრულება, რომლის მე-3 პუნქტი განსაზღვარავს, რომ „წინმდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებამდე“, რაც მიანიშნებს, რომ პროფესიული მასწავლებლის სამსახურში მიღებისას უნდა ფორმდებოდეს ხელშეკრულება.

სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს და შეიმუშაოს პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანის ფორმალური წესი, რითაც პროფესიული განათლების მასწავლებელი და ზოგადად პროფესიული განათლება გაემიჯნება აკადემიური განათლებისაგან და სადაც კონკრეტულად იქნება გაწერილი როგორ ხდება მათთან შრომითი ურთიერთობების გაფორმება, რაც უზრუნველყოფს მათთვის კანონიერი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირებას. აღნიშნული ასევე უზრუნველყოფს პროგრემის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევას კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას უზრუნველყოს მის მიერვე შემუშავებული რეგულაციების დაცვა.

სტუ-ს რექტორის ბრძანებები და აკადემიურ პერონალთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შრომითი ხელშეკრულებები(წინარე ხელშეკრულება)
- ✓ ინტერვიურება (ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იურიდიული სამსახური)
- ✓ ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქ. თბილისი 2019წ)

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/ დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში 040965	96	111	ქართული	სტუ თბილისი კოსტავას ქ. N 68		30
2	სამკერვალო წარმოება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 040966	99	114	ქართული	სტუ თბილისი კოსტავას ქ. N 68		30
3	ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ბეჭდვითი მედიატექნოლოგიებში 080160	92	107	ქართული	სტუ თბილისი კოსტავას ქ. N 68		30
4	ავტომობილის ძრავის შეკეთება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 040781	57	72	ქართული	თბილისი კოსტავას ქ. N 68 Iკორპუსი სტუ ქ.თბილისი კოსტავას ქ.N69ა		30
5	ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 040781	81	96	ქართული	თბილისი კოსტავას ქ. N 68 Iკორპუსი სტუ		30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. -9 გვერდი

დანართი 2 - წინარე ხელშეკრულებები -10 გვერდი

დანართი 3- სსიპ სტუ-ს სტრატეგიული გეგმა-პროექტი -18 გვერდი

დანართი 4- სტუ-ს რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა - 12 გვერდი

დანართი 5 -სტუ-ს სამოქმედო გეგმა 2018-2020 წწ. -28 გვერდი

03.04.2019 წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქ. თბილისი 2019წ)